

ბიბლიოგრაფია

I

**საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი,
ლექსად დაწერილი**“. – გამოცემა დეკ. დავ. ღამბაშიძისა.
ფასი ორი აბაზი,

აღნიშნულ წიგნის გასინჯვა და განხილვა გვარწმუნებს, რომ მისი ავქსონი ყოფილა კარგი მგოსანი და, რაიც უფრო ძვირფასია ჩვენთვის, პირუთვნელი ისტორიკოსი. ჩინებულ ავქსონს, რომელიც, სამწუხაროდ, არ იხსენიებს არც თავის სახელსა და არც გვარს, წინ წაუძღვარებია სიმართლე და ჭეშმარიტების ძაფზე აუსხამს ისტორიული ამბები, მოთხრობილი ქართლის-ცხოვრებაში». მოკლედ რომ ვთქვათ, ეს შრომა არის იგივე საქართველოს ისტორია, მარტივის ენით და ლექსად გამოთქმული მამულის მოყვარე მწერლისაგან.

იწყება წიგნი გურამ ბაგრატიონის ისტორიის მოთხრობით და თავდება დიმიტრი თავდადებულის ამბით. ამ წიგნში ავქსონი ლექსავს მხოლოდ იმ დროის ისტორიას, როდესაც მეფობდნენ ბაგრატიონთა გვარის მეფეები, თუმცაღა იგი გვპირდება, რომ თარგამოსიანთა და ნებროთიანთ მეფეების ისტორიასაც მოგი-თხრობთო, ამათი ამბავიც:

„ს ხ ვ ა ჟ ა მ ს ა თვისსა მოგეთხრასთ,
არ დაშეთთ მიუწდომელი“ (გვ. 7).

გარნა არა სჩანს, ავქსონს შეუსრულებია თუ არა ესევეთარი თვისი დაპირება. სამწუხაროდ არც ისა სჩანს, სახელდობრ, რომელ საუკუნეში უცხოვრია ჩვენს ავქსონს, დიმიტრი თავდადებულით

V

თავდება მისი მოთხრობა, თუ კიდევ ამის შემდეგი დროის ისტორიაც გაულებსავს. წიგნის დამწერი იმ დროის მწერალია, როდესაც საქართველოში უკვე იხმარებოდა თოფი; ესა სჩანს იქიდან, რომ იგი იხსენიებს ამ იარაღს (იხ. გვ. 193). ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ამ შრომის გაგრძელება კიდევ უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს თვით გამომცემლის სიტყვებიც: «ბოლო (წიგნისა), როგორც სჩანს, აკლია, და წიგნი ისეა აკინძული, რომ უკანასკნელ ფურცელს გადატანის ნიშნები აქვს.

თვით ეს წიგნი, როგორც ამბობს გამომცემელი, ყოფილა კუთვნილება ივანე ბატონიშვილისა და მას თავის სხვა წიგნებთან ერთად მიუყიდია პეტერბურგის საჯარო ბიბლიოტეკისათვის. მთელი წიგნი (ხელნაწერი) შესდგება ორი ნაწილისაგან. მეორე ნაწილი გა-

მომცემელს უკვე დაუბეჭდია და პირველის დაბეჭდვასაც აპირობს. ამ პირველ ნაწილში გალექსილია ძველი ალექსანდრე – ქვეყნის შექმნიდან დავით-სოლომანამდე და ამის შემდეგ მოთხრობილია ცნობები საქართველოს შესახებ. სამწუხაროდ, გამომცემელი არ ამბობს, თუ პეტერბურგის საჯარო წიგნთსაცავისგან ვინ გადმოწერა ეს საყურადღებო წიგნი და რაოდენის სიმართლით.

და ასე, ჩვენ მიერ გასინჯული წიგნი არის ნამდვილი მატყანე და სამართლიანად მას უნდა ეწოდოს გალექსილი ქართლის ცხოვრება.

ეს გალექსილი «ქართლის ცხოვრება» ზოგიერთგან შეავსებს უკვე დაბეჭდილ ქართლის ცხოვრებას. სჩანს, ავქსონს თვისი შრომის წერის დროს ხელში ქონია ან უკეთესი ვარიანტი «ქართლის ცხოვრებისა» და ან სხვა წეროებითაც უხელმძღვანელებს.

დაბეჭდილი ქართლის ცხოვრება ბუნდოვანად გადმოგვცემს ბაგრატიონების შემოსვლას საქართველოში, ხოლო გალექსილი «ქართლის ცხოვრება» უფრო სრულად მოგვითხრობს იმავე ბაგრატიონების წინაპართა ისტორიას. შვიდმა ძმამ, რომელთაც თანა ევანდათ ემანი და უმათა შვილები,

„განდიდებულის ბანაკით ვლეს სხვა-და-სხვა ადგილები,

.

მათ მოვლეს ფილისტიმითგან მრავალნი ქვეყნის კიდენი,

.

ბიბლიოგრაფია

63

ქვეყანათა განიცდიდეს, უძლოდიან თანა-მყოლსა,
მთათა სჭვრეტდნენ ველოვანთა, უმზერდიან ყვავილ-მოლსა;
ერთგან შეხვდენ ქვეყანასა, არ უდრიან სხვასა ტოლსა,—
კერძო იყო აზიისა, თანა შერთვით ანატოლსა“

ამ ანატოლით გამოვიდნენ და

„ჰაოსის და ქართლოსისა წილხდომილი მოვლეს წვრილად,
ქართლოსის ხვედრს ედემისა მსგავსად სჭვრეტდეს შემკობილად,
უსაზომოდ შეუყვარდათ, იყვნენ დგომის მონდომილად“.

მოვლეს რა ყველა ქვეყნები და მოეწონათ რა საქართველო და სომხეთი, მოვიდნენ რახილ დედოფლისას და მოინათლნენ. ამათგან ბაგრატი შეესიდა რახილ დედოფალს, ხოლო დანაშთენ ძმათაგან ორნი ისიდა სომეხთა მეფემ და ოთხნი კი საქართველოში შემოვიდნენ (508 წელს). ამათ შორის იყო გურამი, რომელმაც შეირთო ვახტანგ გორგასლის ასული (იხ. გვ. 3 – 5).

«ქართლის ცხოვრებით» რაქელი იყო დედოფალი ეკლეს (ანატოლიაში), მასთან მივიდნენ მუშელ, ბაგრატ, აბგავარ, გურამ, საჰაკ, სამ და ვარზავარდ. ბაგრატმა შეირთო რაქელის ასული,

მუშელ და აბგავარ სომხეთში დასახლდნენ, გურამი შეიქმნა სიძე გასტანგისა და შემდეგ გამეფდა, სოლო მისი დანაშთენი ძმები გამთავრდნენ კახეთის მხარეს.

ამ გვარი საყურადღებო ცნობებით სავსეა მთელი წიგნი. ავქსონი დიდის სიტრფიალით ლექსავს დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიას. ავქსონის აზრით:

„სამნი არიან ქართლისა ღირსი ხსოვნისა მეფენი,
რომელნი იყვნენ სასტიკად მტერთა სისხლისა მჩქეფენი,
ვის დროთა ქართლი ჰყვაოდა, იყვნენ სახელის მკრეფენი“.

ამათგანი ერთია ვახტანგ გორგასალი, მეორე დავით აღმაშენებელი და მესამე თამარ დედოფალი.

«ქართლის ცხოვრებაში» რომ მოთხრობილია გლოვა თამარ დედოფლისა, იგი დიდის ხელოვნებით და ცოტა ვრცლად გალექსილია ჩვენის ავქსონის-მიერ. გლოვობენ რიგ-რიგად და მოთქმით ჯერ ქართლელნი, მერე იმერელ-მეგრელ-გურულ-აფხაზნი, შემდეგ სამცხე-საათაბაგოელნი, მერე კახელნი და ბოლოს თუშ-ფშავ-ხევსურ-მთიულნი. საკვირველი ის არის, რომ ამ უკანასკნელთა გლოვა

64

მომბე

ძლიერა გავს მათ მიერვე მოთქმით ტირილს ერეკლე II-ის კუბოს წინაშე.

იმოდენი თავისებურობა აქვს ამ თუშ-ფშავ-ხევსურთა მიერ თამარის დატირებას, რომ არ შემოიძლიან აქვე არ ამოვწერო მისი ნაწყვეტი.

მოდგნენ თუშ-ფშავ-ხევსურნი მეფისა სახლსა ჩვეულნი.
„გვიჩვენეთ ჩვენი პატრონი?“
შეუძღვნენ, სრასა შევიდნენ ვით მტერზედ გამარჯვებულნი.
· · · · ·

როს განიცადეს კუბო და ოქროსა ტახტსა დებული,
„რა არსო ესე, რა არსო?“ შეიქმნენ განცვიფრებული.
„იქმნება მეფე ძილად წევს! იყავით დაწყნარებული,
ნურვინ ყაყანებთ, დაჩუმიდით, ვიყვნეთო. გაჩუმებული!“

„რად არ ასდგები, ბატონო, შენ არ ხარ ჩვეულ ძილისა,
ამ სიგრძედ შენი ტახტს წოლა ჩვენ არ გვახსოვსო გმირისა,
მოვსულვართ შენნი ერთგულნი, არ მხსოვნნი შენგნით ჭირისა,
ვა-თუ ჩვენ მიერ გწყენოდეს, გცყო მოხსენებად ძვირისა!“
· · · · ·

მოიხადეს თავსა ქუდი, იარაღი შემოიხსნეს,
იწყეს მოთქმა საშინელი, არდავისა დაეკითხნეს...

მოსთქმიან ხმასა მთიულნი, ფანტურით საწყლათ ტირიან:

„ვამ, ჩვენო მძანო თუშ-ფშავნო!“ – უბატონობას ჩივიან, –
„ხევსურნო ციხის ამღებნო!“ – ხმა მაღლა ამას ყვირიან, –
„აჲ ვინა გვიყოს თამარის მაგიერობა! – ყივიან.

„ვამ, მთის ხალხნო, ბატონი გვიწყრების, გვიწყრების გულითა,
არც ჩვენი ესმის სიტყვის თქმა, გაგვრიდა შორად სულითა,
ხომ ჰხედავთ, ჩვენო მოძმენო, მეფე არს ჩვენზე ლულითა!
ვიცით, შენს უკან არ ვარგა ვართ, ვიქმნენით ყოვლნი კრულითა!“

„მშვიდობით, დიდო მეფეო, მშვიდობით გმირად მბრძოლო და,
მშვიდობით, ერთგულთ მოწყალეც, მშვიდობით, ობოლთ მზრდელი და,
მშვიდობით, ბრძენო სიტყვითა, მშვიდობით, მტერთა მკვლელი და! ვით
გესალმებით, არ ვიცით, სად გაქვს საცხოვროდ ბოლოდა!“

„რად ესალმებით, მოყმენო!“ – ურთიერთს ეუბნებოდეს:
„თან წაგვიყვანე, ბატონო, გული შენთანა გვყვებოდეს,
იქნება მარტოს მტერი გხვდეს, თუშთ ხმა არ გეყურებოდეს.
ჩვენთვინ სირცხვილ არს, ფშავ-ხევსურ რომე არ შენთან კვდებოდეს!“

„მშვიდობით, თუშთა იმედო, მშვიდობით, ფშაველთ მყვარო-და,
მშვიდობით, ხევსურთ საუნჯეც, მშვიდობით, მტერთა მმზარო-და,
მშვიდობით, არაგველთ ძალო, მშვიდობით, ქსნელთა მძღვარო-და,
ერთობლივ გიორგიელთა, მეცხვარ-მწყემს წინამძღვარო-და!..“

ბიბლიოგრაფია

65

თქმულებაა, რომ ცოცხალი თამარ მეფე ცოლად ვერ შეირთეს
ვერც ყაენმა და ვერც სულთნებმა და განიზრახეს მკვდარი ამოეღოთ
საფლავიდან და შეებილწებინათ. ჩვენს ავქსონს თამარისავე ანდერძად
უქცევია და ასრე გაულექსია:

ანდერძი ნახეს მეფისა თამარის დატოვებული:
„ჰქმენითო სამნი კუბონი, თვალ-ოქროთ განშვენებული,
ერთი დამარხეთ მცხეთასა, ერთი ვარძიას დებული,
მე დამმარხეთო გელათში, არ მყონ თათართა ვნებული.“

თამარი ჯერ ცოცხალი იყო, – განაგრძობს ავქსონი, – და
ნუქარდიან სულთანმა და ქადაო, რომ ოდეს მოკვდება მეფეო, მაშინ
წავალო, საქართველოს ავაოსრებო და მერე

„სადაც დამარხვენ მეფესა, უქმნა მის საფლავს ძვრანია,
ცოცხალს ვერ ვუყავ რაც მწადდა, მკვდარსა ვყოფ შენასვარია!“

და ამიტომაც ქართველთ აღასრულეს თამარ მეფის ანდერძიო:

„ერთი მუნ დაფლეს, ერთი მუნ, მტერთა ვერა ჰქმნან ძებნანი“.
წიგნში შეპარულა არა ერთი კოორექტურული შეცდომა და
არც სარჩევი აქვს ჩართული. კარგი იქნება, თუ გამოიმცემელი ამ

ძეგლს კვლავ ააცილებს აღნიშნულ ნაკლს.

მ. ჯანაშვილი